თავიდან ავიცილოთ კატასტროფა

24 აგვისტოს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 22-ე ტურის კალენდარული მატჩები, რომელშიც საქართველოს გუნდები მონაწილეობდნენ.

„დნეპრი“: გოროდოვი, ბაშკიროვი (გერშჩენკო), ვიშნევსკი, ჩერედნიკი, ლიუტი, ტიშჩენკო, ლიტოვჩენკო, შოხი, შახოვი (სტორჩაკი), პროტასოვი, ტარანი, 84.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი (ფირცხალავა), ჩივაძე, ჭედია, ცვეიბა, გუბაზი, სვანაძე, სულაქველიძე, ჟვანია, ხაგბა (გურული), შენგელია, 60.

მსაჯი ა. სპირინი (მოსკოვი).

დუბლიორები - 3:0.

მატჩის პირველივე წუთებიდან აშკარა იყო მასპინძელთა დიდი ტერიტორიული, ტაქტიკური უპირატესობა. ისინი ფიზიკურად გაცილებით უკეთ იყვნენ მომზადებულები და ამ უპირატეს სრულადაც იყენებდნენ. გარდა ამისა, ბრძოლისუნარიანობიტაც და მონდომებითაც მეტოქეზე ერთი თავით მაღლა იდგნენ, ამიტომაც არ გასჭირვებიათ ამ მეტად მნიშვნელოვანი მატჩის მოგება. მთელი საქმე მხოლოდ ის იყო, თუ როდის შეძლებდნენ მასპინძლები უპირატესობის რეალიზაციას, რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ ისინი უკვე პრაქტიკულად დაადგნენ გამარჯვების გზას. ეს მოხდა 34-ე წუთზე, "დინამოს" კარში დაინიშნა კუთხური, ფლანგიდან მოწოდებულ ბურთზე არ გამოვიდა მეკარე გაბელია, მცველებმაც ვერ შეძლეს კუთხურის მოგერიებადა ტიშჩენკომ თავით ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში - 1:0.

3 წუთის შემდეგ პროტასოვმა ბურთიანად თითქმის მთელი მინდორი გადასერა, დინამოელთაგან ვერ შეძლო ვერავინ და ანგარიშიც 2:0 გახდა.

შესვენების შემდეგ "დნეპრმა" ოდნავ მოუკლო შეტევათა სიმწვავეს, გამარჯვება მას ფაქტიურად გარანტირებული ჰქონდა, ვინაიდან დინამოელები წინანდებურად უნებისყოფოდ, სუსტად ეწინააღმდეგებოდნენ მეტოქეს. დნეპროპეტროვსკელები სავსებით იოლად, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე ჯობდნენ დინამოელებს და საბოლოოდ ამ მატჩში გასარკვევი ის კი არ იყო თუ ვინ გაიმარჯვებდა, არამედ მხოლოდ ანგარიში - შეძლებდნენ თუ არა თბილისელები თუნდაც ამ ანგარიშის შენარჩუნებას.

ვერ შეძლეს! 63-ე წუთზე "დნეპრის" თავდამსხმელებმა კვლავ სრულიად თავისუფლად, დაუბრკოლებლად გაითამაშეს კომბინაცია და ლიტოვჩენკომ შორი მანძილიდან კიდევ ერთი ბურთი მოათავსა გაბელიას კარში - 3:0.

საფეხბურთო მატჩებში ზოგჯერ მეტოქეთა ძალების თანაფარდობას ვხვდებით, ხშირად კი ერთი გუნდი აშკარად სჯობს ხოლმე მეორეს. ამ მატჩში "დნეპრი" აშკარად სჯობდა "დინამოს" და ეს დიდი ანგარიშიც წამიერადაც არ იწვევ ეჭვს მასპინძელთა გამარჯვების კანონზომიერებაში.

"ლელო", 26.08.1987